



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27. 27240292

თარიღი:29/01/2024

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №02

29 იანვარი 2024 წ.

ქ. თელავი

**მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის დასაფინანსებლად
წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საპროექტო წინადადებების
მოწონების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 06 ივნისის N249 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. მოწონებულ იქნეს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საპროექტო წინადადებები თანდართული ფორმით.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საპროექტო წინადადებები

	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება	პროექტის კატეგორია	პროექტის ღირებულება (ლარი)	დაფინანსების წყარო	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (კი/არა)	ექსპერტიზა (კი/არა)
1	კახეთი	თელავი	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრიწყლებში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები	გზა	300,000.00	მთის ფონდი - 95 %	არა	არა
						მუნიციპალიტეტი - 5%		
2	კახეთი	თელავი	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრიწყლებში ახალი მინი მოედნის მოწყობის სამუშაოები	სპორტული ინფრასტრუქტურა	300,000.00	მთის ფონდი - 95 %	არა	არა
						მუნიციპალიტეტი - 5%		